თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3863789

ნომერი: AR1581942

თარიღი : 05.03.2018

გაცემის თარიღი : 15.03.2018

გაცნობის თარიღი : 15.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი N23ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინე ქოჩლაძე პ/ნ 01003003288
- თბილისი მუხიანი IVა მ/რ კორ. 4 ბ. 99

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1581942 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, #01.12.07.010.044 საკადასტრო ერთეულზე კორექტირებული არქიტექტურული პროექტის განხილვას მიწის ნაკვეთის მესაკუთრის გარეშე და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ითხოვთ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2018 წლის 28 თებერვალს #AR1578611 ელექტრონული განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე ბადრი ლომთათიძემ და მოითხოვა ქ, თბილისში, #01.12.07.010.044 საკადასტრო ერთეულზე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურის 2018 წლის 12 მარტის #3859831 გადაწყვეტილებით მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნულის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა არ მომხდარა.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ადმინისტრაციული წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით ინტერაქტიული რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge